პროლეტარეტნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 17 აპრილი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ. თვიურად 60 კ.

Библиотека

წითელი არმია

№ 84 (782) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განეგის ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ეკატერინოგრადის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომბ. სტრ.

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის მეომრებს.

კავკასიის წ. დროშოვან არმიის ნაწილთა მომზადების პირადი გაცნობა მე მაიძულებს კმაყოფილებით აღვნიშნო ის წარმატებანი, რომელიც მიღწეულია აქ უკანასკნელ წელში სამხედრო მუშაობის ყველა დარგში. განსაკუთრებით წინ წასულა ამიერ-კავკასიის ეროვნული ნაწილები. მეთაურთა და პოლიტიკურ შემადგენლობის დაუღალავი მუშაობისა და ყველა ადგილობრივ ორგანიზაციების დახმარების მეოხებით ეროვნული ნაწილები საგრძნობლად უახლოვდებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნორმალურ დივიზიებს. განსაკუთრებით შესამჩნევია მიღწეული ადერბეიჯანის დივიზიაში, სადაც მიუხედავად იმისა, რომ წინად სამხედრო ბეგარა არ არსებობდა, ჯარის გაწვრთნა და საბრძოლო მომზადება ქების ღირსია. არმიის ყველა ნაწილებში შემჩნეულია რევოლიუციონური წესრიგის, შინაური და საგარეო დისციპლინის განმტკიცება.

კავკასიის წითელ-დროშოვანი არმია დღეს უკეთესად ცხოვრობს, ვინემ გასულ წელს. მართალია ჯერ კიდევ აქვს ადგილი ნივთიერ (მატერიალურ) ნაკლულევანებას.

მომავალი წლის ამოცანაა—ჩვენი კავშირის საერთო ბრძოლასთან ერთად, ეს ნაკლულევანებაც თავიდან იქნას აშორებული.

უნდა აღვნიშნო, რომ არმიის მეთაურთა და პოლიტიკურ შემადგენლობაში საგრძნობლად იზრდება ინტერესი თავისი განვითარებისა და სრულყოფის საკითხებისადმი.

არმიის ტეხნიკა საგრძნობლად წავიდა წინ. მაგრამ ამ მხრივ ჩვენ მაინც ჩამორჩენილი ვართ დასავლეთს. მომავალი წლის ამოცანაა—ერთგულად მოვკიდოთ ხელი სამხედრო სწავლების საქმეს წითელი არმიის ტეხნიკური და საბრძოლო ძალიერების უფრო განმტკიცებისათვის.

მეომრებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ თუმცაღა პირდაპირი საფრთხე ამ ჟამად არ გვიქადის, მაგრამ სრულიად მშვიდობიანად ჩვენ ვერ ვიქნებით მანამ, სანამ ჩვენ გარშემორტყმული გვყავს ბურჟუაზიულ—კაპიტალისტური ქვეყნები, რომელიც სცდილობენ გაანადგურონ მათთვის ისე საშიში მუშურ-გლეხური კავშირი. კავკასიის წითელ დროშოვანი არმია თავისი მდგომარეობის გამო მზად უნდა იყოს, ვინაიდან ჩვენი მტრები განსაკუთრებით კავკასიისაკენ მოიქცევიან.

მუშურ-გლეხური საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის სახელით ვესალმები კავკასიის წითელ—დროშოვან არმიას და იმედს გამოვთქვამ, რომ მეორედ დათვალიერების დროს ჯარებს კიდევ უკეთეს მდგომარეობაში ვიხილავ.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის რევ. სამხედროს თავმჯდომარე **ფრუნზე.**

სისხლიანი დღე.

მძიმე და ნარეკლიანი იყო რუსეთის მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლის გზა.

ვინ მოსთვლის მას, თუ რამდენი მსხვერპლი გაიღო მან, რამდენი სისხლი დაღვარა, სანამ დაამხობდა ძველ მომპალ ოლიგარქიულ ბატონობას. მაგრამ მიუხედავად აუტანელი მონური პირობებისა, მასში მუდამ ღვიოდა რევოლიუციონური ცეცხლი და არას დროს არ დაუკარგავს გამარჯვების იმედი. თვითეული ძალდატანება, მხეცობა რომელსაც სჩადიოდა მუშათა კლასის მიმართ მეფის მთავრობა უფრო აორკეცებდა გაწამებულ პროლეტარიატის ძალებს და აღარმავნებდა მის სიძულვილს არსებულ წესწყობილებისადმი. ერთი ასეთი ვერაგობა, რომელიც ჩაიდინა თვითმპყრობელობამ და რომელიც გახდა ახალი მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის დასაწყისი რუსეთში—იყო ლენის მუშების დახვრეტა 1912 წელს.

ეს იყო 17 აპრილს. შორს ციმბირის მივარდნილ ადგილას ამ დღეს რუსეთის თვითმპყრობელობამ ჩაიდინა იშვიათი საზიზღრობა.

ლენის ოქროს მაღაროების მუშები იმყოფებოდნენ აუტანელ მდგომარეობაში. მაღაროთა მეპატრონენი უსაზღვროთ ყვლეფდნენ მათ. ლენის მყვლეფელების თავგასულობას არ უჩანდა საზღვარი, მუშებმა ვერ აიტანეს თავის არსებობის კატორღული პირობები და წარუდგინეს კაპიტალისტებს მოთხოვნილებები პირობების გაუმჯობესების შესახებ. უმთავრესად ისინი მათ თხოვდნენ 8 საათის სამუშაო დღეს, სამუშაო ხელფასის 30 პროც. გადიდებას და სხვ. ვინაიდან ახლობლად საკმაო შეიარაღებული ძალა არ მოიპოვებოდა მწარმოებლებმა განზრახან დაგვიანეს თავისი პასუხი. რამოდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ჯარისკაცთა მთელი რაზმი როტმისტრ ტერეშჩენკოს მეთაურობით, რომელმაც დაატყვევა მუშების დელეგაცია, რომელიც მათ აირჩიეს მწარმოებლებთან მოსალაპარაკებლად.

დელეგაციის დატყვევებამ ძლიერ აღელვა მუშები და ისინი 17 აპრილს გაეშურენ დატყვევებულთა შესახებ მოსალაპარაკებლად. გზაში მათ შემოეგებათ მაღაროების ადმინისტრაცია და როტმისტრ ტერეშჩენკო.

უეცრად მოლაპარაკების დროს ჩასაფრებულ ჯარისკაცებმა წინასწარ გაცემული განკარგულების თანახმად აუტეხეს უიარაღო მუშებს სროლა. მოკლულ იქნა 250 კაცზე მეტი და ამდენივე დაიჭრა.

ამ საზიზღარ საქციელმა მეტად აღელვა რუსეთის მუშათა მასები.

ლენის დახვრეტამ კვლავ გამოაღვიძა რუსეთის პროლეტარიატის მოდუნებული ენერგია და ყველა სამრეწველო ქალაქებს მოედო მუშათა გაფიცვების ტალღა.

ახალი რადიო-ამბები

პენლევე თანახმაა კაბინეტის შედგენაზე.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე პენლევემ თანხმობა განაცხადა კაბინეტის შედგენაზე.

გავასის სააგენტო იუწყება, რომ დეპუტატთა პალატის სოციალისტურმა ფრაქციამ გადასწყვიტა დახმარება გაუწიოს პენლევეს კაბინეტს, თუ კი შედგენილ იქნება ის.

გერმანიის პრეზიდენტის არჩევნების გარშემო.

მარქსის აგიტმოგზაურობა.

მარქსმა დაიწყო საარჩევნო აგიტმოგზაურობა. ის შემოივლის მთელ რიგ ქალაქებს და არჩევნების დღემდე სიტყვებს წარმოსთქვამს სხვადასხვა ადგილებში.

ჰინდენბურგის მომხრე შავი-ეორნები.

მემარჯვენე პარტიების ბლოკმა დანიშნა 19 აპრილს ფართე აგიტაცია ჰინდენბურგის სასარგებლოდ. ამ დღეს ჰინდენბურგის პრეზიდენტობის მომხრეები ემზადებიან საგიტაციოდ ქალაქებსა და სოფლებში შავი—თეთრი—წითელი ფერი დროშებით.

მათი ლოზუნგია: „ჰინდენბურგმაც კი შესწირა სამშობლოს მშვიდობიანი ცხოვრება სიბერის დღეს.“

გენუტაბების წარმომადგენელთა კონფერენციის გარშემო.

ფინეთის წარმომადგენელის განმარტებანი.

ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარმა მდივანმა არტემ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელის შეკითხვაზე განაცხადა, რომ რიგის გენერალური შტაბების წარმომადგენელთა კონფერენციაზე ირჩეოდა საკითხი სამხედრო ხარჯებისა და შეიარაღების შემცირების გარშემო. საფრანგეთს კონფერენციაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ავრეთვე არც ფინეთს მიუღია მონაწილეობა. ვინაიდან ის არ დაინტერესებულა ასეთ უმნიშვნელო კონფერენციითო.

ემილ ვანდერველდე.

გუშინდელმა რადიო-დეპეშებმა გვაუწყეს, რომ ბელგიის მეფეს ახალი მთავრობის შედგენა მიუნდვია ემილ ვანდერველდესთვის. მას კარგათ იცნობენ საბჭოთა კავშირში, როგორც ესერული პარტიის დამცველს.

ემილ ვანდერველდე ყველაზე უფრო თვალსაჩინო ბელადია 2 გამყიდველ ინტერნაციონალის. ის მედგარი დამცველია ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის იდეის. მას ბევრჯერ უხსნია ბურჟუაზია განსაცდელისაგან და ეხლაც მისთვის მთავრობის შედგენის მინდობა იმის მომასწავებელია, რომ ბელგიის ბურჟუაზია ეპირება საგადასახადო ტვირთის მუშათა კლასზე გადადებით შექმნილ ეკონომიურ კრიზისის დაძლევას და ამ მისიისთვის ძლიერ გამოსადგია ცნობილი შემთანხმებელი და გამყიდველი ე. ვანდერველდე.

პატრი უსსასის გასამართლება.

15 აპრილს ლენინგრადის საგუბერნიო სასამართლო შეუდგა პატრი უსსასის საქმეს.

უსსასმა განაცხადა, რომ მისი, როგორც პოლონეთის მოქალაქის გასამართლების უფლება არ აქვს საბჭოთა კავშირის სასამართლოს. მან მოითხოვა სასამართლოდან განთავისუფლება, რაც, რასაკვირველია, უარყო სასამართლომ.

დაკითხულ იქნა მოწმე ქალი ნატოვიჩი, რომელიც თავის ჩვენებაში ადასტურებს უსსასის ბოროტმოქმედებასა და უზნეო მოქმედებას.

შემდეგ წაკითხულ იქნა სახელმწიფოს პოლიტიკური სამართველოს ცნობა უსსასის პასუხისგებაში მიცემის შესახებ გასული წლისა აგვისტოში.

საღამოს რვა საათზე სასამართლომ შესწყვიტა სხდომა ერთი საათით.

უსსას მიუსაჯეს 6 წლის ციხე.

მოწმე ქალი კ. ძალევა ჩვენებას, რომელიც ადასტურებს დანარჩენ მოწმეების ჩვენებას. ის ამბობს, რომ მას ხშირად დაუნახავს, თუ როგორ გამოდიოდენ ატირებული თანამშრომელი ქალები მისიის შენობიდან. მოწმე კ-ს დაკითხვის შემდეგ გამოძიება ცხადდება დამთავრებულად.

სასამართლომ უსსასს მიუსაჯა 6 წლის ციხე. სასამართლომ დაადგინა დაკმაყოფილებულ იქნას აგრეთვე ორი ქალის საჩივარი, რომლებმაც უსსასის მეოხებით დაჰკარგეს სამსახური.

818

ა.-კ. ცაკის პირველი სესია.

15 აპრილს დღის 2 საათზე შესდგა ა.-კ. ცაკის პირველი სესია აᲑᲮ. **მიხა ცხაკაიას** თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იყო ცაკის პრეზიდიუმისა და სახალხო კომისართა საბჭოს არჩევნები.

სესიამ ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია შემდეგი ᲐᲮᲜᲐᲒᲘ: **ალა-მალი ოღლი, ამბარცუმიანი, ბუნიატ-ზადე, ბარბაქაძე (უპარტიო), ალ. გეგეჭკორი, გუსეინოვი, მუსაბეკოვი, კახიანი, ოკუჯავა მიხ., ლუკაშანი, ფილიპე მახარაძე, ნაზარეტიანი, რუმიანცევი, სემკოვი, სტურუა ვ. სუხიშვილი, ხანოიანი, ცხაკაია მიხა, შავერდოვი, შ. ელიავა, ისაკიანი, მირზა ალი მაგი მამედოვი კონიუშინი.**

ცაკის თავმჯდომარეებად არჩეული არიან: **ᲐᲛᲑ. მიხა ცხაკაია, ალა მალი ოღლი** და **ᲮᲐᲜᲝᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲓᲐᲠᲜᲐᲜ-ᲐᲛᲑ. ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘ.**

ცაკის კანდიდატები:

იაკუბოვი, ᲣᲣᲠᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ბოგდატიევი, მრავიანი, ბაგროვი, ივანოვ-კავკასიელი, ყარაყოზოვი, ერზიკიანი და სიმ. ჯუღელი.

ᲐᲛ.-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობა.

სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე—ᲐᲜ. მამია ორახელაშვილი. მის მოადგილეებთ: ᲐᲛᲑ. გუსეინოვი და ლუკაშინი. შრომის სახ. კომისარი—ᲐᲛᲑ. იაკუბოვი. ფინანსთა სახ.--კომ.ᲐᲛᲑ. გუსეინოვი. მუზეთა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომ. ᲐᲛᲑ.ᲜᲐᲮᲐᲠᲘᲢᲘᲜᲐ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარე—ᲐᲛᲑ. კაცენელსონი შინა ვაჭრობის სახ. კომისარი—ᲐᲛᲑ. მგალობლიშვილი. სამხედრო—საზღვაო საქმეთა რწმუნებული—ᲐᲛᲑ. ს. ორჯონიკიძე. საგარეო ვაჭრობის რწმუნებული—ᲐᲛᲑ. ივანინი. გზათა კომისარიატის რწმუნებული—ᲐᲛᲑ. ელიავა. საგარეო საქმეთა რწმუნებული—ᲐᲛᲑ. ს. კარკლინი.

არჩევნების დასასრულ სამხ. მიხა ცხაკაიამ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიც უსურვა ახალ მთავრობას ნაყოფიერი მუშაობა საბჭოთა აღმშენებლობის ყოველ დარგში.

კიდევ ერთი ცდა კრასინის მოკვლისათვის.

გავასის საგენტოს ცნობის თანახმად 14 აპრილს საბჭოთა კავშირის საელჩოს მახლობლად პარიზში დაპატიმრებულ იქნა რუსი ინჟენერი ვლადიმერ რეიხარტი, რომლის საქციელი ეჭვებს იწვევდა.

დაპატიმრებულს აღმოაჩნდა რევოლვერი და ვაზნები.

რეიხარტმა განაცხადა, რომ ვიღაც უცნობმა შეჰპირდა მას დიდძალი თანხის მიცემა თუ ის კრასინს მოჰკლავდა.

სამგზედრო საქმე

საგანანკო სწავლების გეგმა.

მომავალ საზაფხულო სწავლების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა მომზადებულ იქნან საბრძოლო უნარის მქონე ნაწილები, რომელთაც შეეძლებათ აწარმოონ ბრძოლა ყოველ გარემოებაში, ბრძოლის თანამედროვე საშუალებათა პირობებში.

ამის მიღწევა შეიძლება ყველა გვარი იარაღების მქონე ჯარების შეერთებული მეცადინეობით სხვა და სხვა გვარ ადგილ მდებარეობაზე.

ამ ამოცანების საფუძვლებზე და ზამთრის პერიოდში განვლილ მეცადინეობის მიხედვით, —შენდება საზაფხულო სწავლების გეგმა. პირველ ყოვლისა ბრძოლის წარმოების სწავლობს განყოფილება თავის ძალასა და საშუალებასთან შეფარდებით, შემდეგ მწყობრი, გუნდი და სხვა. ერთი სიტყვით აქ იქნება ნაწილების საბრძოლო უნარი, დაწყებული განყოფილებიდან და გათავებული გუნდითა და ეთასეულით. ამ სწავლებისთვის ნავარაუდევია 2 ნახევარ თვე (ცხენოსან ნაწილებში 2 თვე); ეს არის ეგრედ წოდებული ცალკე, **კერძო შეკრება.**

შემდეგ გადადიან ყველა გვარი იარაღის ჯარების შეერთებულად სწავლებაზე. სწარმოებს მთელი რიგი ტაქტიკური სწავლება საბრძოლო გარემოების სხვა და სხვა შემთხვევისთვის.

ამ სწავლების მიზანია მომზადებულ იქნან ჯარის ნაწილები შეერთებულად მოქმედებისათვის.

ასეთ სწავლებას (საერთო შეკრებას) ეთმობა ერთი თვე.

ბოლოს ზაფხულის პერიოდი თავდება ორკერძოებული მანევრებით, როცა ჯარები ასრულებენ საბრძოლო ამოცანებს სინამდვილესთან დაახლოებულ პირობებში.

მთელი ზაფხულის პერიოდის განმავლობაში მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სამსროლელო მომზადებას, რისთვისაც პრაქტიკულ, სავარჯიშო და შეჯიბრებითი სროლის გარდა, ჩატარებულ იქნება საბრძოლო სროლა ტაქტიკური ამოცანით.

ᲐᲛᲐᲕ გარდა სალაშქრო ცხოვრებაზე ადამიანებისა და ცხენების შეჩვევის მიზნით უნდა მოეწყოს მეცადინეობის წარმოება ბანაკზე მოშორებულ რაიონებში, ბანაკზე სრულიად განშორებით რამოდენიმე დღის განმავლობაში.

თავისთავად იგულისხმება, რომ შენიღბვის, ნინდაკობის და ქიმიური საქმის საკითხები გათვალისწინებულ უნდა იქნას ყოველ მეცადინეობის დროს.

ბოლოს იმ მიზნით, რომ ნაწილები შეეჩვიონ ღამით მოქმედებას, ტაქტიკური მეცადინეობის ერთ მესამედზე არა ნაკლები ჩატარებულ უნდა იქნას ღამით.

ამ რიგად საზაფხულო სწავლების გეგმა აგებულია ისე, რომ სწავლება სწარმოებს განსაზღვრულ თანდათანობით, დაწყებული სწავლების უფრო წვრილი საკითხებიდან და გათავებული ნაწილის საბრძოლო მომზადების სრული გამოჩარხვით.

სამხედრო ქრონიკა.

ვინ უნდა შეეკეთოს დაზიანებული გაზის საწინააღმდეგო ხელსაწყო.

კოლოფი მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია გაზის საწინააღმდეგო საშუალებისა; ის მეტად გაფრთხილებით მოპყრობას მოითხოვს მეომარისაგან.

ჩვეულებრივად კოლოფი კეთდება საკმაოდ სქელი, სახეურავის თუნუქისაგან და ზევიდან გადაეკვრება განსაკუთრებით სქელი, ზეთიანი საღებავი. მაგრამ თუ ეს ხელსაწყო დაუდეგრად იქნა ხმარებული, საღებავი კოლოფზე იხეხება, იფხეჭნება და კოლოფზე გამოჩნდება თუნუქის შიშველი ზოლები, ხოლო თუნუქი კი, ნოტიოს გავლენით სწრაფად ჟანგიანდება და თუ რომ ყურადღებას არ მიაქცევ, დაჟანგებულ ადგილს არ გასწმენდ და არ შეღებავ, თუნუქს შესჭამს ჟანგი და კოლოფის კედლებში გაჩნდება ᲮᲕᲠᲔᲢᲘᲜᲔᲑᲘ და ნაბზარები.

ამ შემთხვევაში გაზის საწინააღმდეგო საშუალება ჭკვიანგავს თავის დაცვითი თვისებას, ვინაიდან ასეთი ნიღბით სუნთქვის დროს ჰაერი შედის შიგ არა მარტო კოლოფის ყველა დან და გაიფილტრა დამცველ ნივთიერებას, არამედ ის (მოწამლული ჰაერი) შედის ნაბზარებშიაც, რომელნიც შეიძლება იყოს ზემო ყელთანაც.

მაშასადამე, გაზი სუნთქვის დროს არ გატარდება მთელ დამცველ ნივთიერების ფენაში, ცუდად გაიწმინდება და შეინარჩუნებს მომწამვლელ თვისებას.

გარდა ჟანგისა, ნაბზარებსა და ᲮᲕᲠᲔᲢᲘᲜᲔᲑᲘᲡ სასუნთქავ კოლოფში იწვევს კოლოფის გარტყმა რაიმე მაგარ სხეულზე და, საერთოდ, გაუფრთხილებელი მოპყრობა მეომრის მხრივ.

ყოველი მეომარი, შეამჩნევს თუ არა გაზის საწინააღმდეგო საშუალების კოლოფზე ნაბზარს, ᲮᲕᲠᲔᲢᲘᲜᲐᲡ ან ᲣᲜᲒᲚᲘ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს თავის უფროსს ან ინსტრუქტორს, რათა დაათვალიეროს მისი გაზის საწინააღმდეგო საშუალება და შეაკეთოს ის.

არავითარ შემთხვევაში მეომარმა თვითონ არ უნდა გაფიხოს ᲮᲕᲠᲔᲢᲘᲜᲔᲑᲘ, და არ უნდა წაუსვას ძალიან დაჟანგულ კოლოფს საღებავი: ფისი ადრე თუ გვიან მოშორდება. ჟანგიან თუნუქზე ძნელი შესამჩნევია ᲮᲕᲠᲔᲢᲘᲜᲔᲑᲘ და საღებავ გადაკრული ჟანგი, მცირე დაწოლის გამოც კი, ხშირად მოშორდება თუნუქს და გაჩნდება ნახვრეტი.

გაზის საწინააღმდეგო საშუალების თავის ხელით შეკეთებამ შეიძლება კიდეც დაღუპოს მეომარი.

ლ. ვორონოვი.

ზრდისა და განვითარების გზით.

მ. ᲕᲐ. ᲤᲐᲠᲣᲜᲯᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲘ.

ამიერ-კავკასიის ზრდა და განვითარება.

საერთო შთაბეჭდილება, რომელიც მე მივიღე ღღევანდელ დაკვირვებით კავკასიის ცხოვრებიდან-ეს არის სწრაფი ზრდა.

მე ვიყავი აქ სამი და ორი წლის უკან და ამიტომაც შეძლია სწორი აზრი ვიქონიო მისი ცხოვრების ტემპის განვითარებაზე. ეს ტემპი, ამიერკავკასიის ფედერაციის აღმშენებლობის ყველა დარგში გი განტეიურად იზრდება ყოველ წლობით. ადერბეიჯანის დედაქალაქ ბაქოში მე გამაკვირვა იმ დიდმა მიღწევებმა, რომლებიც ახასიათებენ ბაქოს ნავთის სამრეწველოს მეშუბას. სამრეწველოების გადახალისება, გაუმჯობესებულ უახლესი ტეხნიკის ხმარება, ნავთის საერთო ამოქაჩვის გადიდება, გაზის ფართედ გამოყენება, მუშათა სანინაო აღმშენებლობის გაძლიერება და მრავალი სხვა ყველაფერი ეს მოწმობს აღორძინებასა და სასწრაფო ზრდას ამ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგისა-როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე მთელ ჩვენს საბჭოთა კავშირში.

მეტად სასიხარულო შთაბეჭდილებას სტოვებს აგრეთვე სოფლის მოსახლეობის სწრაფი და ძლიერი დაწყება კულტურაზე.

სოფლის ელექტროფიკაცია, კავშირის საშუალებათა გაუმჯობესება (სოფლის სატელეფონო ქსელის დიდი გაფართოება), ქალაქთა ახალი ცენტრების შექმნა, სკოლების საგრძნობლად გაშრავლება და სხვა—ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲛᲑᲘ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ დიდი წინსვლის შესახებ კულტურულ და სამეურნეო დარგში.

„მეტი ყურადღება სოფელს“.

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მესამე საბჭოთა ყრილობის ანგარიშები გვიჩვენებენ, რომ ეს ზრდის პროცესები არიან არა შემთხვევითი, რომელსაც ადგილი აქვს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ზოგიერთ **კუთხეებში,** არამედ დამახასიათებელია მთელი ფედერაციის ცხოვრებისათვის. ყრილობის ყურადღების ცენტრში იდგა **სოფლის** საკითხები, მისი მეურნეობისა და კულტურული ზრდის გაძლიერება.

ეს სავსებით სწორია, ვინაიდან არა მარტო აქ, კავკასიაში არამედ მთელს კავშირში, საბჭოთა ხელისუფლების სახრუნავ საგანს შეადგენს სასოფლო მეურნეობის გაძლიერება.

მხოლოდ მისი სრული აღორძინებისა და შემდეგი ზრდის ნიადაგზე შესაძლებელია ჩვენი მრეწველობის სწრაფი და შეუჩერებელი აყვავება.

ჩვენს მრეწველობას ᲯᲔᲠ კიდევ დიდი მანძილი აქვს განვითარების გზაზე, სადაც უმთავრესად ის უნდა დაეყრდნოს შინაური ბაზარს. დღეს ჩვენში ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ დიდი წარმატებები გვაქვს მრეწველობის დარგში. რომ ისინი უზრუნველვყოთ შემდეგში, რომ კიდევ უფრო გავაიაფოთ მრეწველობის პროდუქცია (ნაყოფიერება), ამისათვის საჭიროა ძლიერ წავსწიოთ წინ ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარება.

ამიერ-კავკასიის ეროვნული მშვიდობიანობა.

სასიხარულოა აღინიშნო, რომ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის დარგში ძირითადი ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ აქ, კავკასიაში როგორც სჩანს გადაჭრილია, და გადაჭრილია სავსებით სწორად. ეროვნული გამიჯვნა არ არსებობს კავკასიის ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ხალხებისათვის გახსნილია ეროვნულ კულტურული განვითარების გზები და შესაძლებლობანი და ამრიგად ჩაყრილი აქვს მტკიცე საფუძველი კავკასიის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

ის შეთანხმებული, ძმური ატმოსფერა, რომელიც სუფევდა რამოდენიმე თვეულ ხალხის წარმომადგენელთა ყრილობაზე, სერიოზული და საქმიანი ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲘᲡ დღის წესრიგის ᲧᲕᲔᲚᲐ საკითხებისადმი,—კავკასიის ერების პოლიტიკური და კულტურული დიდი ზრდის დამამტკიცებელია.

ეროვნული უთანხმოება, ამ ნიადაგზე ბრძოლა და სხვა ისტორიას ჩაბარდა. შექმნილ საბჭოთა საზოგადოებრივობის ჩარჩოებში სწარმოებს გაცხოველებული შემოქმედებითი მუშაობა ცხოვრების კულტურული და სამეურნეო დონის ამაღლების საქმეში. ხალხური ენერგია შადრევნივით სცემს ᲧᲝᲕᲔᲚ ᲞᲣᲠᲬᲧᲘᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ეს ფაქტი ჩვენი უფრო დიდი წარმატებების თავდებია მომავალში.

მივიზიდოთ საალმშენებლო მუშაობაში უპარტიოთა ფართე მასები.

როგორც ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ, ისე კავკასიაშიც არის დიდი ნაკლი საბჭოთა მუშაობაში. ამის უფრო აშკარა გამჩვენებელია ის ფაქტები, რომლებიც აღმოაჩინა ადერბეიჯანის ცაკის კომისიამ ნახიჩივანის რესპუბლიკაში. ეს ფაქტები, რომლებიც აღნიშნავენ დიდ უწესრიგობას რესპუბლიკის მთელ რიგ საბჭოთა ორგანოებში, გვეუბნებიან იმას, თუ რამდენი მუშაობა გვიძევს ჩვენ წინ საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების დარგში.

ძირითადი ამოცანა ამ დარგში მდგომარეობს იმაში, რათა მიზიდულ იქნან საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში უპარტიო მუშებისა და გლეხების ფართე მასები. მხოლოდ მათი მიზიდვა სამმართველო აპარატში, ხელისუფლების ორგანოებში, როგორც სახელმწიფო ცენტრებში, ისე ადგილებზეც შეჭქმნის მტკიცე ნიადგს საბჭოთა დაბალი აპარატის სრულ გაჯანსაღებისა და განმტკიცებისათვის, რომელიც საერთოდ ᲧᲝᲕᲔᲚ კიდევ შორს არის სრულ გაუმჯობესებამდი, ხოლო ფედერაციის მივარდნილ და ჩამორჩენილ ნაწილებში მთ არც აქვთ უფლება ატარონ „საბჭოთა აპარატის“ სახელი.

ეროვნული სამხედრო აღმშენებლობა.

განსაკუთრებული კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო ეროვნულ სახხედრო აღმშენებლობის წარმატება კავკასიაში. ჩვენი ეროვნული დივიზიები (ადერბეიჯანის, ქართული, სომხური) თავისი პოლიტიკურ—კულტურული მდგომარეობით და აგრეთვე საბრძოლო მომზადებით შეიძლება დავაყენოთ საუკეთესო ძველ დივიზიების გვერდით.

მაგრამ სამხედრო აღმშენებლობის ამოცანებს აქ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩავთვლით ჩვენ გადაჭრილად.

საჭიროა დიდი და შეუდრეკელი მუშაობა მეთაურთა და პოლიტიკურ შემადგენლობის მხრივ.

განსაკუთრებით აუცილებელია ეს მუშაობა ტერიტორიალურ ნაწილებში. აქ არსებითად გადადგმულია მხოლოდ პირველი, გაუბედავი ნაბიჯი. უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნულ დივიზიების ტერიტორიალურ ნაწილებს შეუძლიათ და კიდეც უნდა ითამაშონ დიდი როლი, არა მარტო წმინდა სამხედრო, არამედ საერთო-კულტურული.

მათ შეუძლიათ და კიდეც უნდა გახდენ საბჭოთა ხელისუფლების სოფელთან დამაახლოებელი და დამაკავშირებელი იარაღი. ისინი უნდა გახდენ საბჭოთა კულტურის კერად. ეს უნდა გახდეს არა მარტო სამხედრო, არამედ მთელი საბჭოთა პარტიულ და პროფესიონალური აპარატის გაერთიანებული ღონისძიებათა შედეგი.

მაშ წინ, წარმატებიდან წარმატებისაკენ. ცხოვრება წინ მიდის, ჩვენც შეთანხმებულად ვიმუშაოდ შემდეგში და ვაქცეოდ მუშებისა და გლეხების რესპუბლიკები ისეთ სახელმწიფოდ, რომელიც სამაგალითო და მისაბაძი იქნება მთელი ქვეყნების მუშებისა და გლეხებისათვის.

მუშათა კლასი და ლენინის შავი დღეები.

1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ, თვითმპყრობელობამ ფრთა შეისხა და გააძლიერა უსაშინელესი ტერორი მუშათა კლასის წინააღმდეგ. ათეული და ასეული მუშები და გლეხები თავიანთ ცოლ-შვილით მსხვერპლი ხდებიან რეაქციის. დახოცილების ბევრები კეთდება მინდორ ველებში. გაცოფებული თვითმპყრობელობა სდევნიდა და უმოწყალოთ უმასპინძლდებოდა ყველას, ვინც ოდნავ შემჩნეული იყო რევოლიუციონერობაში. ბევრი საზიზღროება ჩაიდინა მეფის მთავრობამ.

მათ რიცხვშია ლენინ მუშების დახვრეტა—ამბავი, „რომელსაც ადგილი ქონდა მდინარე ლენის ნაპირზე 1912 წელს 17 აპრილს (ახალი სტილით). მხეცურათ გაუმასპინძლდა გაფიცულ ლენის მაღაროების მუშებს ბურჟუაზიამ.

ვერაგულად მოკლულ იქნა 270 მუშა და სასიკვდილოთ დაჭრილი 250 კაცი. ამ დღეს მუშათა კლასის წმინდა სისხლით შეიღება მდინარე ლენა.

რამ აიძულა ლენინ მაღაროს მუშები გაფიცვაზე? არსებობის საშინელმა პირობებმა, სამუშაო დღის სიდიდემ, ხელფასის სიმცირემ და აუტანელმა ბინის ბინურ—ეკონომიურ აღმშენებლობისათვის. მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია, რის შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელშიდაც აღნიშნულია, რომ ცვალებად შემადგენლობაზე მოწერილი ამხანაგები, იმ თვეებში, როდესაც ისინი გამოწვეული იქნებიან, მთელ თავის ძალღონეს მოახმარენ სამხედრო ნაწილების განმტკიცების საქმეს.

მეორე საკითხზე ილაპარაკა ამხ. კვანტალიანმა; ის ვრცლად შეეხო აღრიცხვაზე აყვანილ ცვალებად შემადგენლობასთან კავშირის დაჭერის აუცილებლობას. ამ მიზნით გამოყოფილი იქნენ ოცის და ათის თავები სოფლების და მათი რაოდენობის მიხედვით, განმარტებული იქნა სალეგიონო კონფერენციის მნიშვნელობა და აირჩიეს დელეგატებათ ხუთი კაცი.

სამხკორი დ. ჩიკვაიძე.

ლიტერატურული წრე ნაყოფიერად მუშაობს.

პირველი ლეგიონის საკავშირო ასეულში კარგი ხანია, რაც დაარსებული იქნა სალიტერატურო წრე. თავიდანვე წრეში ყოველ კვირაში ორჯერ იმართებოდა მეცადინეობა.

მოხსენებებით გამოდიოდენ წითელ არმიელები. განსაკუთრებით საფუძვლიანად გავიარეთ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის ქართველი მწერლები. საფუძვლიანად გავაანალიზეთ ნინოშვილის მოთხრობები: „მოსე მწერალი“; „გოგია უიშვილი“; „ჩვენი ქვეყნის რანდი“ და „პალიასტომის ტბა.“

წრეში ამ ჟამადაც გაცხოველებული მეცადინეობაა.

წითელ არმიელები ძლიერ არიან დაინტერესებული.

საჭიროა წრეში ხშირად მოიწყობოდეს ლიტერატურული გასამართლებებიც, რაც ძლიერ იზიდავს წრის წევრებს.

წ. არმ. კ. ბერიშვილი.

მოგვაწოდეთ საჭირო სამეცადინო მასალები.

პირველი ლეგიონი.

პირველ ლეგიონში პოლიტსაათები კომპლექსიური მეთოდით ისე ვერ ტარდება, როგორც ამას ზევიდან ვფიუბნებიან.

ამის მიზეზია უმთავრესად რუქების და საჭირო წიგნების უქონლობა. თავის თავად მეთოდი პოლიტსაათის ჩასატარებლად კარგია, მაგრამ რა უნდა ვქნათ თუ არ იქნება სახელმძღვანელოები. მეცადინეობა გვინდა ვაწარმოოთ ამ მეთოდით, ვლაპარაკობთ, უხსნით არმიელებს, მაგრამ ბოლოს ყველაფერი უნაყოფოა.

საჭიროა მოგვექცეს ყურადღება. მოგვაწოდეთ ყველა საჭირო მასალები, თორემ არაფერი არ გამოვა.

ს. იმნაიშვილი.

ვემზადებით ბანაკში გასასვლელად.

პირველი საკავშირო ასეული.

ჩვენი ასეული უკვე შეუდგა სამბანაკო მზადებას. დაიწყო საზაფხულო—საველე კარგების შეკეთება. მნე დიდ სამზადისშია.

ვთვალიერებთ და ვსინჯავთ ელსმენებს. ჩვენი არმიელების უმეტესი ნაწილი პირველად გადიან საკარვოდ. ისინი დიდი სიხარულით მოელიან იმ დღეს, როდესაც ასეული გემართება სამბანაკოთ.

შეფობის ქვეშ აყვანილ სოფლისათვის ასეული ცალკე ამზადებს ლიტერატურას. დიდი იმედებით მივდივართ. წელს უფრო საგრძნობ დახმარებას გაუწევთ სოფლის გლეხებს ვინემ გასულ წელში. ეხლა უფრო მომზადებული და გამ

ვინ იძნება შემდეგი?

1 აპრილიდან ვიწერ ყოველთვიურად გაზეთ „წითელ არმიელ“ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს.

1. გედევანიშვილ იოსებს, 2. ვენაძე გრიგორს, 3. გოძიაშვილი გიორგის, 4. კუტუბიძე ბენიამინს, 5. ლეკვეიშვილი აკაკის, 6. ცაგარელი შალვას, 7. ქუთათელაძე პეტრე სამსონის-ძეს, 8. ბუაჩიძე პეტრეს, 9. მამულაშვილი ვალერიანს, 10. მამულაშვილი ალექსანდრე იაგორის-ძეს.

რუდოვსკი.

ექსკურსია თამგაძოს ქარხანაში.

საარტსკოლა.

ამ რამოდენიმე დღეების უკან ჩვენი საარტილერიო სკოლის კურსანტები გაემგზავრენ ლენინის სახელობის მესამე თამბაქოს ქარხნის დასათვალიერებლად. წინ შემოგვეგებენ ადგილობრივი მუშები და დიდი სიხარულით მიგვიწვევენ ქარხანაში.

ქარხანამ საერთოდ და იქ წარმოებულმა მუშაობამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა კურსანტებზე.

პირველად დავთვალიერეთ ის განყოფილება, სადაც თამბაქო ნაწილდება სხვა და სხვა ხარისხებად; აქ მოხუცებული ქალების ენერგიულმა სწრაფმა მუშაობამ განცვიფრებაში მოიყვანა კურსანტები.

— ერიჰაა, ბიეებო შეხეთ როგორ იყენებს საბჭოთა ხელისუფლება მოხუცებულებსაც. მათაც აქვთ თავის სარჩენი ლუკმა-გაიძახოდენ კურსანტები.

შემდეგ ვნახეთ სხვა მანქანებიც, განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია ერთმა მანქანამ, რომელსაც უჯდა ღრმად მოხუცებული მუშა.

იქვე გვიამბეს, რომ ამ მანქანაზე მოხუცის მეტს არავის შეეძლოო მუშაობა. დღეში 40-50 ფ. თამბაქოს სპრისო. ქარხანამ საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე.

კარგი იქნება, ჩვენი სამხკომი როგორმე დაგვთვალიერებიმდეს აგრეთვე ავჭალის ჰიდროელექტრონულ სადგურს.

სამხკორი ს. ძირაოვნელი.

ყველა წიგნისა და ბიბლიოთეკისაკენ.

წიგნისა და ბიბლიოთეკის კამპანია მე-4-ხე ლეგიონში.

7 აპრილს ყველა ასეულებში ჩატარდა კამპანიის მიმწყობ კომისიის მიერ ხმა მაღალი კითხვა და საუბრები წიგნის კამპანიის შესახებ.

8 აპრილს მოწყობილ იქმნა საღამო კამპანიის ჩასატარებლად. კლუბის დარბაზი მორთული იქნა. საზოგადოება უამრავი მოაწყდა. მოწვეული იქნა ადგილობრივი პარტ-სკოლის მსმენელები, პედაგოგიური ტექნიკუმის მოწაფენი, ახ. კომკავშირის ორგანიზაცია და საბავშო სახლის მოწაფეები.

მორიგი სხდომა გახსნა კლუბის უფროსმა ლომაძემ. შემდეგ კი ფართო მოხსენებით გამოვიდა ბიბლიოთეკარი. მელიქია.

მომხსენებელი ფართოდ შეეხო ანბანის წარმოშობას და ბიბლიოთეკის ისტორიას, უკანასკნელ გადახალისებამდე.

მოხსენების შემდეგ 2-რე განყოფილებაში დადგმულ იქნა წარმოდგენა. მონაწილეობა მიიღეს ოცამდე წითელ არმიელებმა.

მესამე განყოფილებაში გაიმართა დივერტისმენტი. წითელ არმიელთა ხორომ შეასრულა სხვა და სხვა იმერ-კახური სიმღერები და შემდეგ გაიმართა ლექსთა თქმა.

საზოგადოება დიდათ ნასიამოვნები დაიშალა. ამავე დღეს პუნქტებზე გაემგზავრენ ახალწვეულებს შორის კამპანიის ჩასატარებლად სპეციალურად არჩეული ამხანაგები.

სამხკორი ჯღანკი.

ნუ შესწყვეტთ მეცადინეობას.

მეხუთე ლეგიონი.

ამას წინად მეხუთე ლეგიონში დაარსდა პარტსკოლა, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია წითელ არმიელებ შორის. პირველი მეცადინეობა ჩვენთან ჩაატარა ამხ. მიქაძემ. დაწვრილებით გავეცანით ლენინის ბიოგრაფიას. მეცადინეობა ძლიერ ცოცხლად იქნა ჩატარებული.

მას შემდეგ მიქაძის ხელმძღვანელობით რამოდენიმეჯერ იქნა ჩატარებული მეცადინეობა, რომელსაც ყოველთვის მრავლად ესწრებოდენ უპარტიო წითელ არმიელებიდანაც.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ლექტორი მიქაძე გამოგვიცვალეს და დაგვინიშნეს სხვა.

მეცადინეობამ თანდათან დაჰკარგა ცოცხალი ხასიათი და ამ უკანასკნელ ხანებში სრულიად აღარ სწარმოებს.

ნუ გააუქმებთ პარტსკოლას, დაგვინიშნეთ კარგი ხელმძღვანელი.

სამხკორი მ—სკი.

პური და მარილი სამი თვეა არ მიგვიღია.

4-ხე ლეგ. 5 თე ასეული.

აგერ სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც აღნიშნული ლეგიონის 5-თე ასეულს არ მიუღია პური და მარილი. რამდენჯერ პატაკით მიმართეს ლეგიონს ამის შესახებ, მაგრამ რომ არაფერი გამოვიდა სპეციალური დავალებითაც კი მიავლინეს ერთი მეთაური. მიუხედავთ ამისა ასეულს ჯერ-ჯერობით არაფერი მიუღია.

დღემდე „ეპოს“ საშვალებით ვირჩენდით თავს. მომავალში კი ალბად ნაკლებად მოგვაქცევს ყურადღებას

ნეტა რას ფიქრობს ჩვენი ლეგიონის სამნეო ნაწილის უფროსი?

საერთოდ ნაკლები ყურადღება გვექცევა ყველაფერში. თუ თავის დროზე არ იქნა გამოსწორებული ყველა დეფექტები ასეულის ნორმალური ცხოვრება საგრძნობლად შეფერხდება.

სამხკორი ბაღათურია.

რადიოს მოყვარულთა კუთხე.

რადიოს მოყვარულთა რადიო მიმღები.

ორი თავით ინდუქციური კოჭები „დოკიმილია“ ბოთლზე. მათი (კოჭების) ერთმანეთისგან დაცილებით ან მიახლოებით შესაძლებელი ხდება თვით ინდუქციის ცვლა; ორი კონდენსატორი მილებათ დახვეული



მოთავსებული არიან თვით ბოთლზე; დეტექტორი მიმაგრებული ბოთლის ყელზე. ასეთი რადიო მიმღებებით სარგებლობა ძლიერ არის გავრცელებული მოსკოვის რადიო მოყვარულთა შორის.

რადიო ამერიკაში.

„დოლარის სამეფოში“ რადიო საყვეთესო საშვალებაა კაპიტალისტური პროპაგანდისათვის. რადიო მიმღები აპარატები ყველა ფაბრიკა ქარხნების ცეხებშია დადგმული და ადმინისტრაცია აქრადიოს საშვალებით ლექციებს უკითხავს მუშებს იმის შესახებ თუ მუყაითი შრომით როგორ შეიძლება გამდიდრდეს თითეული პროლეტარი.

რადიო ცხოველებისათვის.

ლონდონში ცნობილ „რადიო გამომგონებელის მარკონის სახლში სცადეს მოეწყოთ რადიო“ ცხოველებისათვის.

სასმენი აპარატი გადაეცვეს თაგზე ძაღლს, რომელიც ყოფით უპასუხეს რადიოს საშვალებით გადმოცემულ ძაღლის ყეფაზე.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში.

— **ბორჯომის წიწლის სასკასრე ქარხანა.** საქ. სახკომსაბჭომ მიიწონა საქ. სახალხო მეურნეობის უმაღ. საბჭოს მოხსენება ბორჯომის წიფლის საკასრე მასალის დამამზადებელ ქარხნის დაარსების შესახებ და დადგინა გამოყოს კომისია ამ ქარხნის ს. მ. უ. საბჭოზე გადაცემის შესაძლებლობის გამოსარკვევათ.

მევენახეობის აღსადგენათ. კახეთის სახალხო მამაღლებში რიხტერის სადგურების მოსაწყობათ სახკომსაბჭომ დამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა 17.321 მან. 27 კ. რაოდენობით.

— **ტყეების ექსპლოატაცია.** საქართველოში ტყეების ექსპლოატაციის უფლება სახალხო კომ. საბჭომ გადასცა სტეყეო მრეწველობის სამმართველოს.

— **კურორტების გაუმჯობესება.** საქ. სახკომსაბჭომ დაავალა ცალკე კომისიას ამხ. შ. მათიკაშვილის, ა. მიქაძის, ი. ვარძელის, აბზიანიძის, ა. მაჩიძის შემდგენლობით გამოარკვიონ კურორტების მდგომარეობა.

— **თამბაქოს მეურნეობა.** ამ. კავ. სახ. სამეურნეო ბანკმა საქართველოში თამბაქოს მეურნეობის გასაუმჯობესებლათ ამ ერთი წლის განმავლობაში (1924 წ. აპრილიდან 1925 წ. აპრილამდე) გასცა სესხად 542 ათასი მანეთი.

— **ამავე ბანკმა** მეაბრეშუმეობის საქმისათვის ამ ერთ წელში გასცა 340 ათასი მანეთი სესხი.

— **აფხაზეთის ჭაობების** ამოსაშრობათ ამ. კავ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს გადადებული აქვს 50 ათასი მანეთი,

— **ტფ. აღმასკომის** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა მუშათა დიდ კუნძებთან მოაწყოს სანიტ. განათლების გამოფენები და გამართოს აგრეთვე ლექციები სანიტ-განათლებაზე.

აბა გამოიცანი?

ამოცანა № 6

თითქოს შეუძლებელი იყო.

დედამ თავის სამ ქალიშვილს გასასყიდათ გაატანა 90 ვაშლი. უფროსს მისცა 50 ვაშლი, საშუალოს 30 და უცროს კი 10. თან უთხრა, რომ სამივეს ერთ და იმავე ფასად გაეყიდათ ვაშლები და ფული კი თანასწორად აეღოთ.

როგორ უნდა შეესრულებინათ ქალიშვილებს დედის ბრძანება?

ამბები სოფლებიდან.

საექიმო სადგურები. ქუთაისის აღმასკომმა დადგინა სოფ. ოკრიბაში და ბაღდათში გახსნას საექიმო სადგურები.

ქარხანა სამეურნეო ხარჯზე. გორის აღმასკომმა დადგინა ხაშურის ხე ტყის საბერხი ქარხანა გადაიყვანოს სამეურნეო ხარჯზე.

სკოლების შეკეთება. ახალციხის აღმასკომი შეუდგა სკოლების შენობების შეკეთებას და ახლების აგებას.

ჯვბირი ინგურზე. ზუგდიდის აღმასკომმა გადასწყვიტა მდ. ინგურის ჯვბირის გასაკეთებლათ მუშა ხელი გაიყვანოს უახლოეს თემებიდან.

— **გამსესხებელი აზნაგობები.** გორის მაზრაში ამ ჟამად არსებობს 13 საკრედიტო ამხანაგობა.

ლაილაშის (ლეჩხუმი) გლეხკომმა გასულ წელს შეაკეთა ძეგერის ბანო, რომლის შემოსავალს იღებს თვით გლეხკომი.

ოზურგეთის სამაზრო გლეხკომი ამზადებს 12 დესტინა მანდარინის სანერგე მიწას.

ახალქალაქის სამაზრო გლეხკომს აქვს 3.500 მანეთის უძრავ-მოძრავი ქონება.

კედლის გაზეთი. სამტრედიის პროფკავშირები უშვებენ კედლის გაზეთ „ჩვენი დარაჯს.“

ოსიაურის (გორის მაზრა) საშრატე სადგურმა მარტის განმავლობაში დაამზადა 21 ლიტრი ღორის ჭრის საწინააღმდეგო შრატი.

ახალი ამბები.

— **ქალაქის სასაკლაოზე** მარტის თვის განმავლობაში დაუკლავთ 39.197 ფუთი და ბ გირვანქის წონის საქონელი.

— **20 აპრილი დასასვენებელი დღეა.** საქ. შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით 20 აპრილი (ორშაბათი) დასასვენებელ დღეთაა გამოცხადებული.

— **მძიმე, დაზღვეულმა, ავტომყოფებმა** უსათუოდ უნდა იაქციონ საავთომყოფოებში.

— **დასასვენებელ სახლებში.** დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა გასაგზავნათ სოცდაზღვევის სამმართველოს წელს აღებული აქვს 635 საწოლი.

— **ხე ტყის გაცემა.** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიწად. მოქმ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ საქართველოს სატყეოებიდან გასცა 16 ათასი კუბ. საჟენი ხე-ტყე.

— **მეფუტკრეობისათვის.** მიწად. მოქმ. სახ. კომისარიატის მეფუტკრეობის ბიურო 20—25 აპრილისთვის საგარეჯოში ხსნის მეფუტკრეობის მოკლე ვადიან კურსებს.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

განცხადებები.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ მესამე ქართულ მსრ. ლეგიონის პარტორგანიზაციაში შემდეგ ამხანაგებს: 1. ლეგ. ხაზინადარი გოგელია გერონტი. წითელ არმიელები: 2. გოგოლაური ნიკოლოზი 3. მამაჯანოვი გევლო 4. მუსელიანი შალვა 5. ხვადაგიანი შალვა 6. პაპაშვილი ბაგრატი 7. ბეკვაია სპირიდონი 8. ბედია ლევანი 9. გოცირიძე შალვა, ოცეულის მეთაურები 10. წოწორნავა მიხეილი 11. კბილაძე გიორგი და 12. დათუკაშვილი ილიკო. თუ ვინმეს აქვს ამ ამხანაგების საწინააღმდეგო მათი პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ ცნობები გამოგვგზავნოთ ქუთაისის მე-3-მე ქართულ მსრ. ლეგიონის მიუროკოლექტივის სახელზე ერთი კვირის განმავლობაში.

ბ. კ. ტეხ. მდივანი: ი. ბაღათაურია.

დავკარგე ატესტატი სამტრედიის უმაღლეს დაწყებითი სკოლის დამთავრებისა გაცემული 1917 წელში და მოწმობა სამხედრო სავეტერინარო სკოლის დამთავრების, გაცემული ალექსანდრე მიქაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე ს. კ. პ. საკანდიდატო ბარათი № 2471 გაცემული 1-ლ ქ. მ. დ. პარტკომისის მიერ ალექსანდრე ანდრიას ძე კინწურაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.